ქ.ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტი/პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების საკონკურსო კომისიის დებულება

1. ზოგადი დებულება

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ქალაქ ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტი/პროექტების დაფინანსება /თანადაფინანსების კომისიის საქმიანობის წესს და გამარჯვებული პროექტი/პროექტების გამოვლენას.

1.2. კომისიის საქმიანობის წესს (დებულებას) ამტკიცებს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

2. საკონკურსო პროექტის მიზანი

2.1 ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების'' პროგრამის ფარგლებში ისეთი პროექტი/პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციას, შესაძლებლობების განვითარებას, რეალიზებას და დასაქმებას.

3. კონკურსის ორგანიზება და ჩატარების პირობები

3.1. კონკურსის ორგანიზატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.

3.2. განაცხადების მიღებას ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც წინამდებარე დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფს კონკურსის ჩატარებას.

3.3. კონკურსის პირობების დაცვა და შესრულება სავალდებულოა ყველასათვის.

4. კომისიის შემადგენლობა და უფლებამოსილება

4.1. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამისი ბრძანებით.

4.2. კონკურსის ჩატარებაზე პასუხისმგებელია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური.

4.3. კომისია შედგება 10 (ათი) წევრისგან.

4.4. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

4.5. კომისის თავმჯდომარე უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის წევრად დამატებით მოიწვიოს პროექტის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით. მათი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.

4.6. კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" წინამდებარე დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

4.7. კომისის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი.

4.8. კომისიის წევრს არ აქვს უფლება კონკურსში მონაწილეობის მიზნით, წარადგინოს პროექტი/პროექტები.

4.9. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა კომისიის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

4.10. კომისია გამოავლენს გამარჯვებულ კონკურსანტს/კონკურსანტებს, მერის ბრძანებით დამტკიცებული დანართი N2 შესაბამისად.

4.11. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს აქვს უფლება, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება აღნიშვნა.

4.12. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

5. კომისიის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა

კომისიის წევრები თავის საქმიანობას ახორციელებენ სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ.

6. დებულების შეცვლა

წინამდებარე დებულების ცვლილებებსა და დამატებებს, აგრეთვე დებულების ახალ რედაქციას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამისი ბრძანებით.

7. დებულების მოქმედების ვადა

კომისიის წინამდებარე დებულება ძალაშია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანების დამტკიცების დღიდან და მოქმედებს კომისიის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

დანართი N2

ქ.ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის პროგრამა და პირობები

1.ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური.

2.ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქ.ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განათლებასა და დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელებას. რაც ხელს შეუწყობს მათი შესაძლებლობების განვითარებას, რეალიზებას და მათ მიერ შემოსავლების გამომუშავებას. აღნიშნული ქვეპროგრამა საშუალებას აძლევს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების თვითრეალიზაცია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა სხვებთან თანასწორ პირობებში.

პროგრამის განხორციელების შედეგად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები დასაქმების ხარჯზე შეიქმნიან/გაიუმჯობესებენ საარსებო მდგომარეობას, გაიზრდება მათი შემოსავალი. კვალიფიკაცის ამაღლების გზით ისინი შეძლებენ თავიანთი შესაძლებლობების განვითარებას, მათ რეალიზებას. ამისათვის შეექმნებათ ხელსაყრელი პირობები.

3.კონკურსის ჩატარების პირობები და მოთხოვნები

3.1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ პირებს 18 წლიდან და ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე მოქმედ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) საკონკურსო პროგრამის სამიზნე ჯგუფებთან (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან) მუშაობის გამოცდილება;

ბ) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსის ქონა;

გ) პროექტის მართვის უნარი.

3.2. საკონკურსო განაცხადების მიღება წარმოებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის სახელზე.

3.3. კონკურსში მონაწილეს შეუძლია შეავსოს მხოლოდ ერთი განაცხადი.

3.4. საპროექტო განაცხადი შევსებული უნდა იყოს საკონკურსი პროექტის განაცხადის ფორმის მიხედვით /დანართი N3 და დანართი N 4/ შესაბამისად და თან ერთვოდეს საჭირო დოკუმენტაცია.

3.5. საკონკურსო განაცხადი მიღებული უნდა იყოს მიღებისთვის დადგენილ ვადაში.

3.6 საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ, ხოლო საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, კომისია იწყებს საკონკურსო განაცხადების შერჩევას პრიორიტეტულობის კრიტერიუმების მიხედვით და შემდეგ მათ დეტალურ შეფასებას და შემოწმებას.

3.7 შესაძლებელია კოალიციური ერთი ან რამდენიმე ფიზიკური პირის (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის არასამთავრობო ორგანიზაციების) მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვა.

3.8 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს

10 000 (ათი ათასი) ლარს.

3.9 აუცილებელია წარმოდგენილი პროექტის მთლიანი ღირებულების თანადაფინანსება იყოს არანაკლებ 10%-სა.

3.10 პრიორიტეტი მიენიჭება ისეთ პროექტებს, რომელთაც თან ახლავს: მინი კვლევა, რომელიც ასახავს საკონკურსო პროექტის საჭიროებას. რომელშიც ავტორის **თანამონაწილეობა - 20% და მეტია.**

3.11 სახელფასო ბიუჯეტი გადასახადების გათვალისწინებით არ უნდა აღემატებოდეს პროექტის საერთო ღირებულების 30%

3.12 არ განიხილება დაგვიანებით შემოსული და წინა წლებში გამარჯვებული საკონკურსო პროექტები

3.13 არ განიხილება ამავე პროგრამის ფარგლებში 2 წლის წინ კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი პროექტი.

3.14 პროექტი უნდა დაიწყოს არაუადრეს 2023 წლის 1 აპრილისა და დასრულდეს 2023 წლის 20 დეკემბრამდე.

4. კონკურსის ჩატარების ვადები

4.1. დაინტერესებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკონკურსო განაცხადი უნდა წარმოადგინონ 2023 წლის 20 მარტის 18:00 საათამდე. ქ,ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში ან სოციალურ საკითხთა სამსახურში (მის: ნ.დუმბაძის ქ.N61) მატერიალურად და CD დისკით. ასევე, შესაძლებელია ელექტრონულ ფოსტაზე sockutaisi@gmail.com.

4.2 კონკურსი ცხადდება ,,შშმ პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/ თანადაფინანსების'' ქვეპროგრამაში განსაზღვრული თანხის ამოწურვამდე.

5. კონკურში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტების ნუსხა

5.1. პროექტის განაცხადი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) ერთი ეგზემპლიარი, ბეჭდური სახით და ასევე ელექტრონული ვერსია /დანართი N3 და დანართი N4/ შესაბამისად.

5.2. უახლესი ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. (იურიდიული პირებისათვის).

5.3. ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

5.4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და CV - განმცხადებელი ფიზიკური პირის შემთხვევაში.

5.5.სავალდებულოა ფიზიკური პირი განაცხადის შემოტანის დროს არ იძებნებოდეს მოვალეთა რეესტრში.

5.6. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ფარგლებში იგეგმება სახელმწიფო/არასახელმწიფო ინსტიტუტებთან ან/და მედია და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა, ამ ორგანიზაციების თანხმობის წერილი.

5.7. თანადაფინანსების შემთხვევაში - დამადასტურებელი დოკუმენტი.

5.8 პირის/ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები.

6.კონკურსის ეტაპები

კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1 - საკონკურსო განაცხადების მიღება

2 - საკონკურსო განაცხადების გადარჩევა /მოთხოვნების შესაბამისობის დადგენა/

3 - კონკურსანტების მიერ პროექტების პრეზენტაცია.

4 - პროექტების განხილვა და გამარჯვებული პროექტის გამოვლენა

7.შეფასებისა დ შერჩევის პროცესი

7.1 საკონკურსო განაცხადების შერჩევის ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადები განიხილება საკონკურსო კომისიის მიერ. დაფინანსება/თანადაფინანსების გაცემის თაობაზე, საბოლოო გადაწყვეტილებას კომისიის წევრების მიერ ხელმოწერილი დასკვნის /ოქმი/ საფუძველზე მიიღებს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

7.2 კომისიის წევრები განიხილავენ წარმოდგენილ განაცხადებს. საკონკურსო განაცხადთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით

7.3 საკონკურსო კომისია განაცხადების განხილვასა და შეფასებას უზრუნველყოფს დადგენილ ვადაში.

7.4 შეფასება განხორციელდება ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით, /დანართი N7/ კომისია არ შეაფასებს განცხადს დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში.

N	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	პროექტის ინოვაციურობა, კრეატიულობა და რელევანტურობა- რამდენად პასუხობს პროექტი მიზნებს.	20
2	ორგანიზაციის/კონკურსანტის გამოცდილება	20
3	პროექტის დასაბუთება, პროექტის მდგრადობა, განვითარების პერსპექტივა და შედეგის ეფექტიანობა;	20
4	ბიუჯეტი, ხარჯთეფექტიანობა და შესაბამისობა დაგეგმილ აქტივობებთან და მიზნებთან.	20
5	პროექტის ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობა	20
სულ		100 ქულა

7.5. გამარჯვებულად გამოცხადდება პროექტი, რომელმაც დააგროვა ქულათა მაქსიმალური რაოდენობა, მაგრამ არაუმცირეს საერთო ქულათა 70% /საბოლოო ჯამში ფინანსდება საუკეთესო შედეგების მქონე პროექტები ,,შშმ პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/ თანადაფინანსების'' ქვეპროგრამაში განსაზღვრული თანხის ამოწურვამდე.

8.გადაწყვეტილების შეტყობინება

8.1 ყველა კონკურსანტს, კონკურსში მიღებული შედეგების შესახებ ეცნობება სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ წერილობით. საკონკურსო კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს **5** სამუშაო დღისა.

8.2 კონკურსის შედეგები საჯაროდ ქვეყნდება ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე- www.kutaisi.gov.ge

9. კონტროლი და ანგარიშგება

კონკურსის შედეგად გამარჯვებულად გამოვლენილი პროექტის ავტორი ქუთაისის ტერიტორიაზე მოქმედ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ვალდებულნი არიან:

9.1 სოციალურ საკითხთა სამსახურში წარმოადგინონ პროექტის/პროექტების მიმდინარეობის შესახებ ყოველი ორი თვის შესრულებული სამუშაოს ანგარიში, /დანართი N5 და დანართი N6 შესაბამისად/ თანდართული დოკუმენტაციით.

9.2 პროექტის დასრულების შემდეგ მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიში წარუდგინონ ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭოს.

10. მნიშვნელოვანი თარიღები:

კონკურსის გამოცხადება	2023 წლის 1 მარტი
საკონკურსო განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა	2023 წლის 15 მარტი
საკონკურსო განაცხადის შეფასება	2023 წლის 24 მარტამდე

იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

დანართი 3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია

''შშმ პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/ თანადაფინანსების'' პროგრამა

საკონკურსო პროექტის განაცხადის ფორმა

ინფორმაცია განმცხადებელი იურიდიული პირის შესახებ

პროექტის სახელწოდება:
განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი: საკონტაქტო ინფორმაცია:

ორგანიზაციის სრული დასახელება	
სამართლებრივი ფორმა	
მისამართი იურიდიული/ფაქტობრივი	
საკონტაქტო ინფორმაცია	

პროექტის დაწყების თარიღი:		დასრულების თარიღი:	

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნილი თანხის ოდენობა:	_____ლარი
თანადაფინანსების სხვა წყაროებიდან მიღებული თანხის ოდენობა:	_____ლარი
პროექტის საერთო ღირებულება:	_____ლარი

პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი:

_____ _____

(ხელმოწერა) (თარიღი)

* შენიშვნა:

- განსხვავებულ ფორმატში შევსებული ან არასრულად შევსებული განაცხადი არ განიხილება.
- თანადაფინანსების შემთხვევაში, სასურველია წარმოადგინოთ თანადამფინანსებლის თანხმობის წერილი.
- ორგანიზაციის მიერ ბეჭედდასმული განაცხადი (მისი არსებობის შემთხვევაში)

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება:	
პროექტის აღწერა (მოკლედ):	
პროექტის მიზანი:	
ამოცანები:	
პროექტის ბენეფიციარები:	
პროექტის დასაბუთება:	
დაგეგმილი აქტივობები: (დეტალურად აღწერეთ ის აქტივობები, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია პროექტის ფარგლებში. დაასაბუთეთ, რომ აღნიშნული აქტივობების საშუალებით შესაძლებელია პროექტის ამოცანების მიღწევა) დანართის სახით წარმოადგინეთ პროექტის დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა (იხ. ნიმუში)	

მოსალოდნელი შედეგები:	
ინდიკატორები:	
მონიტორინგი და შეფასება: (მიუთითეთ, როგორი იქნება პროექტის მონიტორინგის მექანიზმები და პერიოდულობა)	
რისკების ანალიზი: (მოკლედ აღწერეთ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული შიდა და გარე რისკის ფაქტორები და როგორ შეძლებთ მათ შემცირებას)	
პროექტის მდგრადობა: (აღწერეთ რა სარგებელის მოტანა შეუძლია პროექტს გრძელვადიან პერსპექტივაში)	
დამატებითი ინფორმაცია:	

* **შენიშვნა:** -წარმოდგენილი ტექსტი უნდა იყოს ლაკონური და მკაფიოდ ასახავდეს პროექტის შესახებ ინფორმაციას

სამოქმედო გეგმა

ეტაპი	აქტივობა	შესრულების ვადები											
		თვე				თვე				თვე			
		I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა
I													
II													
III													
IV													

* შენიშვნა: - პრიორიტეტი მიენიჭება ლოგიკური ჩარჩოს მიდგომით წარმოდგენილ პროექტებს.

პროექტის ბიუჯეტი

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	დაფინანსება		
				თანადაფინანსება	მოთხოვნილი თანხა	საერთო ხარჯი
1.						
1.1.						
1.2.						
	სულ					
2.						
2.1.						
2.2.						
	სულ					
3.						
3.1.						
3.2.						
	სულ					
4.						
4.1.						

4.2.						
	სულ					
პროგრამის ჯამური ბიუჯეტი						

* შენიშვნა:

- ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს მხოლოდ იმ სამუშაოებს/მომსახურეობის სფეროებს, რომლებიც შეესაბამება პროექტის ამოცანებს.
- სახელფასო ბიუჯეტი გადასახადების გათვალისწინებით არ უნდა აღემატებოდეს პროექტის საერთო ღირებულების 30%
- ბიუჯეტის პუნქტებზე ფასები/ღირებულება უნდა მიეთითოს ეროვნულ ვალუტაში.

ინფორმაცია პროექტის წარმომდგენი ორგანიზაციისა და შემსრულებლის შესახებ

ორგანიზაციის რეგისტრაციის თარიღი:	
რეგისტრაციის ნომერი:	

* შენიშვნა:

- დანართის სახით წარმოადგინეთ რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- საბანკო რეკვიზიტები;

ორგანიზაციის მისია:	
ორგანიზაციის მიზნები:	

პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები

№	სახელი და გვარი	ფუნქციები

* შენიშვნა: -დანართის სახით წარმოადგინეთ პროექტში ჩართული პირების CV.

ორგანიზაციის გამოცდილება

(განხორციელებული პროექტები)

№	პროექტის სახელი	მიზანი	დაფინანსების წყარო და ოდენობა	მიღწეული შედეგები

იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

დანართი 4

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
''შშმ პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/
თანადაფინანსების'' პროგრამა
საკონკურსო პროექტის განაცხადის ფორმა
ფიზიკური პირებისთვის

პროექტის სახელწოდება:
განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი: საკონტაქტო ინფორმაცია:

პროექტის დაწყების თარიღი:		დასრულების თარიღი:	

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნილი თანხის ოდენობა:	_____ლარი
თანადაფინანსების სხვა წყაროებიდან მიღებული თანხის ოდენობა:	_____ლარი
პროექტის საერთო ღირებულება:	_____ლარი

პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი:

_____ _____

(ხელმოწერა) (თარიღი)

* შენიშვნა: -განსხვავებულ ფორმატში შევსებული ან არასრულად შევსებული განაცხადი არ განიხილება.

- თანადაფინანსების შემთხვევაში, სასურველია წარმოადგინოთ თანადამფინანსებლის შუამდგომლობის წერილი.

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება:	
პროექტის აღწერა (მოკლედ):	
პროექტის მიზანი:	
ამოცანები:	
პროექტის ბენეფიციარები:	
პროექტის დასაბუთება:	
დაგეგმილი აქტივობები: (დეტალურად აღწერეთ ის აქტივობები, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია პროექტის ფარგლებში. დაასაბუთეთ, რომ აღნიშნული აქტივობების საშუალებით შესაძლებელია პროექტის ამოცანების მიღწევა) დანართის სახით წარმოადგინეთ პროექტის დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა (იხ. ნიმუში)	
მოსალოდნელი შედეგები:	
ინდიკატორები:	
მონიტორინგი და შეფასება:	

(მიუთითეთ, როგორი იქნება პროექტის მონიტორინგის მექანიზმები და პერიოდულობა)	
რისკების ანალიზი: (მოკლედ აღწერეთ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული შიდა და გარე რისკის ფაქტორები და როგორ შეძლებთ მათ შემცირებას)	
პროექტის მდგრადობა: (აღწერეთ რა სარგებელის მოტანა შეუძლია პროექტს გრძელვადიან პერსპექტივაში)	
დამატებითი ინფორმაცია:	

* **შენიშვნა:** -წარმოდგენილი ტექსტი უნდა იყოს ლაკონური და მკაფიოდ ასახავდეს პროექტის შესახებ ინფორმაციას

სამოქმედო გეგმა

ეტაპი	აქტივობა	შესრულების ვადები											
		თვე				თვე				თვე			
		I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა
I													
II													
III													
IV													

* შენიშვნა: - პრიორიტეტი მიენიჭება ლოგიკური ჩარჩოს მიდგომით წარმოდგენილ პროექტებს.

პროექტის ბიუჯეტი

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	დაფინანსება		
				თანადაფინანსება	მოთხოვნილი თანხა	საერთო ხარჯი
1.						
1.1.						
1.2.						
	სულ					
2.						
2.1.						
2.2.						
	სულ					
3.						
3.1.						
3.2.						
	სულ					
4.						
4.1.						
4.2.						
	სულ					

პროგრამის ჯამური ბიუჯეტი

* შენიშვნა:

- ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს მხოლოდ იმ სამუშაოებს/მომსახურეობის სფეროებს, რომლებიც შეესაბამება პროექტის ამოცანებს.
- სახელფასო ბიუჯეტი გადასახადები სგათვალისწინებით არ უნდა აღემატებოდეს პროექტის საერთო ღირებულების 30%
- ბიუჯეტის პუნქტებზე ფასები/ღირებულება უნდა მიეთითოს ეროვნულ ვალუტაში.

ინფორმაცია პროექტის წარმომდგენი პირის შესახებ

პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი;	
პირადი ნომერი:	

* შენიშვნა:

- დანართის სახით წარმოადგინეთ პირადობის მოწმობის ქსეროასლი;
- საბანკო რეკვიზიტები;

პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები

№	სახელი და გვარი	ფუნქციები

* შენიშვნა: -დანართის სახით წარმოადგინეთ პროექტში ჩართული პირების CV.

გამოცდილება

(განხორციელებული პროექტები)

№	პროექტის სახელწოდება	მიზანი	დაფინანსების წყარო და ოდენობა	მიღწეული შედეგები

იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

პროექტის შინაარსობრივი ანგარიშის ფორმა

დანართი 5

თარიღი ----------

ანგარიშის ფორმა ფიზიკური პირებისათვის

პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი

პროექტის დაწყების/დასრულების თარიღი:

რიცხვი/თვე/წელი | | წ/თ | |

პროექტის მოკლე აღწერა

აღწერეთ პროექტის მიზანი, განხორციელებული აქტივობები, შემსრულებლები, სამიზნე პირები და მიღწეული შედეგები.

პროექტის შინაარსობრივი ანგარიშის ფორმა

პროექტის ბიუჯეტი (მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში)

პროექტის მთლიანი ღირებულება:	
მოთხოვნილი თანხა:	
მიღებული დაფინანსება:	

ხარჯთაღრიცხვა

აღწერეთ თუ როგორ მოხდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ გამოყოფილი თანხის გახარჯვა, განხორციელდა თუ არა ცვლილებები, თუ კი რა მიზეზით, იყო თუ არა ცვლილებები შეთანხმებული, ასევე რამდენად შესაბამისობაში იყო საერთო პროექტის ბიუჯეტთან

პროექტის მიზნები და ამოცანები

აღწერეთ, თუ რამდენდ იყო მიღწეული პროექტით გათვალისწინებული მიზნები, რამდენად შესრულდა ყველა დასახული ამოცანა

პროექტის შინაარსობრივი ანგარიშის ფორმა

შედეგები

აღწერეთ თუ იქნა პროექტით დაგეგმილი შედეგების მიღწევა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით, დეტალურად აღწერეთ

ეტაპების ვადების ცვლილებები

მხოლოდ ცვლილებების შემთხვევაში აღწერეთ დეტალურად თუ რა ცვლილებები იყო და მიზეზები რომლითაც იყო აღნიშნული ცვლილებები განპირობებული

პროექტში მონაწილე ადამიანთა რაოდენობა

მონაწილეები	
მენეჯმენტი/ საორგანიზაციო ჯგუფი	

პროექტის შინაარსობრივი ანგარიშის ფორმა

პროექტის შესრულების კალენდარული გეგმა:

თანდართულ ფორმაში მიუთითეთ წინასწარ განსაზღვრული ეტაპები და ვადები და რეალურად შესრულებული ეტაპების ვადები

#	აქტივობის დასახელება	წინასწარ დაგეგმილი პერიოდი	რეალურად შესრულებული პერიოდი
1.	მოსამზადებელი ეტაპი		
1.1			
1.2			
1.3			
1.4			
1.5			
1.6			
2.	შესრულების ეტაპი		
2.1			
2.2			
2.3			
2.4			
2.5			
2.6			
2.7			
3.	ანგარიშგების ეტაპი		
3.1			
3.2			
3.3			
3.4			
3.5			

ანგარიშის ფორმასთან დასართავი დოკუმენტების სია

- პროექტის დეტალური ფაქტობრივი ბიუჯეტი;
- ფინანსური ანგარიშის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური მასალა: ვიდეო, ფოტო და ა.შ ვიზუალური მასალა (CD-ზე);

ხელმოწერა _____

იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

დანართი 6

პროექტის შინაარსობრივი ანგარიშის ფორმა

თარიღი ----------

ანგარიშის ფორმა იურიდიული პირებისათვის

პროექტის სახელწოდება

პროექტის დაწყების/დასრულების თარიღი:

რიცხვი/თვე/წელი

პროექტის მოკლე აღწერა

აღწერეთ პროექტის მიზანი, განხორციელებული აქტივობები, შემსრულებლები, სამიზნე პირები და მიღწეული შედეგები.

პროექტის შინაარსობრივი ანგარიშის ფორმა

იურიდიული პირის სტატუსი	ორგანიზაციის დასახელება
საიდენტიფიკაციო კოდი	ორგანიზაციის ხელმძღვანელი

იურიდიული მისამართი:	
ფაქტობრივი მისამართი:	
ელექტრონული ფოსტის მისამართი	
ვებ გვერდის მისამართი	www.
საკონტაქტო ტელეფონი	

დანართი 6

პროექტის შინაარსობრივი ანგარიშის ფორმა

პროექტის ბიუჯეტი (მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში)

პროექტის მთლიანი ღირებულება:	
მოთხოვნილი თანხა:	
მიღებული დაფინანსება:	

ხარჯთაღრიცხვა

აღწერეთ თუ როგორ მოხდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ გამოყოფილი თანხის გახარჯვა, განხორციელდა თუ არა ცვლილებები, თუ კი რა მიზეზით, იყო თუ არა ცვლილებები შეთანხმებული, ასევე რამდენად შესაბამისობაში იყო საერთო პროექტის ბიუჯეტთან

პროექტის მიზნები და ამოცანები

აღწერეთ თუ რამდენად იყო მიღწეული პროექტით გათვალიწინებული მიზნები, რამდენად შესრულდა ყველა დასახული ამოცანა.

დანართი 6

პროექტის შინაარსობრივი ანგარიშის ფორმა

შედეგები

აღწერეთ თუ იქნა პროექტით დაგეგმილი შედეგების მიღწევა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით, დეტალურად აღწერეთ.

ეტაპების ვადების ცვლილებები

მხოლოდ ცვლილებების შემთხვევაში აღწერეთ დეტალურად თუ რა ცვლილებები იყო და მიზეზები რომლითაც იყო აღნიშნული ცვლილებები განპირობებული

პროექტში მონაწილე ადამიანთა რაოდენობა

მონაწილეები	
მენეჯმენტი/ საორგანიზაციო ჯგუფი	

დანართი 6

პროექტის შინაარსობრივი ანგარიშის ფორმა

პროექტის შესრულების კალენდარული გეგმა:
თანდართულ ფორმაში მიუთითეთ წინასწარ განსაზღვრული ეტაპები და ვადები და რეალურად შესრულებული ეტაპების ვადები

#	აქტივობის დასახელება	წინასწარ დაგეგმილი პერიოდი	რეალურად შესრულებული პერიოდი
1.	მოსამზადებელი ეტაპი		
1.1			
1.2			
1.3			
1.4			
1.5			
1.6			
2.	შესრულების ეტაპი		
2.1			
2.2			
2.3			
2.4			
2.5			
2.6			
3	ანგარიშგების ეტაპი		
3.1			
3.2			
3.3			

ანგარიშის ფორმასთან დასართავი დოკუმენტების სია

- პროექტის დეტალური ფაქტობრივი ბიუჯეტი;
- ფინანსური ანგარიშის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური მასალა: ვიდეო, ფოტო და ა.შ ვიზუალური მასალა (CD-ზე);

ხელმოწერა _____

იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი